საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

16/09/2025

MES 0 25 0001156564

გადაწყვეტილება

შპს საქართველოს უნივერსიტეტის "მასობრივი კომუნიკაციის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის, „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობაში მოყვანისა და კვალიფიკაციის კოდის ცვლილების შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების“ აკრედიტაციის დებულების (შემდგომში - აკრედიტაციის დებულება) 31-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, აკრედიტაციის პირობების შესრულების შემოწმება ხორციელდება გეგმიური და/ან არაგეგმიური მონიტორინგის გზით.

1.2. აკრედიტაციის დებულების 31-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, არაგეგმიური მონიტორინგი ხორციელდება საბჭოს შუამდგომლობით, ცენტრში საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შესრულებასთან დაკავშირებით წარდგენილი საჩივრის საფუძველზე და/ან ცენტრის ინიციატივით.

1.3. აკრედიტაციის დებულების 31 - ე მუხლის 25 - ე პუნქტის მიხედვით, იმ შემთხვევაში თუ, აკრედიტაციის პირობების შესრულების შემოწმების შედეგად დადგინდება, რომ დაწესებულების მიერ ყველა რეკომენდაცია შესრულებულია, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის თაობაზე.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. შპს საქართველოს უნივერსიტეტის "მასობრივი კომუნიკაციის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას აკრედიტაცია მიენიჭა №272, 20.12.2019 გადაწყვეტილებით.

2.2. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და შპს საქართველოს უნივერსიტეტის "მასობრივი კომუნიკაციების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიური მონიტორინგის განხორციელების შესახებ ცენტრის დირექტორის 2025 წლის 24 იანვრის №55480 ბრძანების საფუძველზე, შეიქმნა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი (შემდგომში - ექსპერტთა ჯგუფი). აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა შპს საქართველოს უნივერსიტეტის მიერ ცენტრში 2024 წლის 29 ნოემბრის №2929 (ცენტრში რეგისტრაციის №1538885) წერილით

წარმოდგენილი "მასობრივი კომუნიკაციების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შეფასება.
2.3. საბჭომ შეისწავლა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.
2.4. ზეპირი მოსმენა გაიმართა 2025 წლის 2 სექტემბერს.
აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა შეფასება.
შესაბამისად, საბჭომ მიიჩნია, რომ "მასობრივი კომუნიკაციების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“.
აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია შეწყდეს "მასობრივი კომუნიკაციების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

3. სარეზოლუციო ნაწილი

აკრედიტაციის დებულების 27^2 - ე მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25 -ე პუნქტის, 30-ე მუხლის მე-3 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტრის 2011 წლის 01 ივნისი №233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,

გადაწყვიტა:

1. შეწყდეს შპს საქართველოს უნივერსიტეტის "მასობრივი კომუნიკაციის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.
2. მიჩნეულ იქნეს, რომ შპს საქართველოს უნივერსიტეტის "მასობრივი კომუნიკაციის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“.
3. საგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცეს უფლება "მასობრივი კომუნიკაციების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა განახორციელოს დანართი №1-ით განსაზღვრული მონაცემების მიხედვით.
4. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
5. ცნობილ იქნას საბჭოს 2025 წლის 16 სექტემბრის №1154033 ოქმის №05 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).
6. საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2025 წლის 16 სექტემბერს.
7. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“

საქართველოს კანონის 24^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის II შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) დაწესებულების კანონმდებლობის შესაბამისად ინფორმირების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიატციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მასობრივი კომუნიკაცია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	N272 20.12.2019
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-8
9	კვალიფიკაციის დასახელება	მასობრივი კომუნიკაციის დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0321 ჟურნალისტიკა და რეპორტიორობა
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	60
14	განხორციელების ადგილი	კოსტავას 77, თბილისი, IV კორპუსი , 0171, საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-
16	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	16.09.2025
17	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა	-
18	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	01/07/2028